№2526 2015 წლის 20 ნოემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ - ბერი ანდრიას სახელობის ფონდისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ა(ა)იპ - ბერი ანდრიას სახელობის ფონდს (ს/კ: 412681897) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) წლის ვადით, სარგებლობაში გადასცეს ქ. თბილისში, დიდგორის ქ. №64-ში მდებარე 6493 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (ნანგრევი) (მიწის (უძრავი) ქონების საკადასტრო კოდი: №01.72.14.020.371).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს უზუფრუქტის საგნის საქველმოქმედო, კერძოდ სიმსივნით დაავადებულ პირთა და მათი ოჯახებისათვის მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნებისათვის გამოყენება.

3. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**